

გაზეთი ღირს			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა

ივერი

გაზეთის დასავევად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰყვაროდეს: რედაქციის მისამართი — თბილისი, მარტვილის ქუჩა, ბასილიონის სახლი. ან რედაქციის გამავევად უნდა მიჰყვაროდეს: თბილისი, ცენტრალური ქუჩის კვარტალის სათავად-აზნაურო ბასიონის სახლი. ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიტი.

1877—1889

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

პირას, 21 მაისს,
მუშტაიდში.
და ნ ი შ უ ლ ი ა

სახალხო სვირნობა ლატარია-ალეგრიო

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.
ბალში შესასვლელი ბილეთი ღირს—20 კაპ. და ლატარიისა—20 კაპ.

ჭუთაისის ბანკის კრება
გამოვიდა მოსკოვი თესვად თესლისა თვისისა...
რომელიმე დავარდა გზასა ზედა...
და სხვა დავარდა ცალდესა ზედა...
და რომელიმე დავარდა შორის ეკალითა...
და სხვა დავარდა ქვეყანასა კვილითა და აღმოსვენდა და ჰყო ნაყოფი ასი წილი...
ს.ს. თვ. 8, ლუკაძე.

ნელოდ და შესამეცნებელად საჭიროა მოკლედ გადავხედოთ თვალს და დავხატოთ მკითხველის თვალ-წინ ორი სურათი: წარსულისა და აწინდელისა.

წლებიდან კრება ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა იყო შესანიშნავი კრება, რომელმაც თვალ-საჩინოდ დაგვანახა, თუ რამდენად წაუდგამს წინ ნაბიჯი ამ ცამეტის წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებას წინგაბრუნებას და განვითარებას წარმატებაში. მე მინდა დავხატო დღეს ორის კრების სურათი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ორის თაობისა: ის, რომელიც 1876 წელს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დაარსების დროს იყო, და ის, რომელიც დღეს 1889 წელს არსებობს.

1876 წელს მისის თთვეში ქუთაისის იღვა მშენებელი ამინდი. ერთს ერეკლს დარბაზში რიონის პირად იყო სრულიად იმერეთისა და სამეგრელოს თვალ-აზნაურობა შეკრებილი. საადგილ-მამულო ბანკის წესდება იყო დამტკიცებული და იმის გამგეობის წევრები უნდა აერჩიათ. დიდებულთა გვართა მოთავენი, პატივცემულნი კაცნი თავადისა და აზნაურის გვარისანი: დანიანი, გურიელი, წერეთელი, წულუკიძე, მიქელაძე, ჩხეიძე, ფალავანი, გელოვანი, ახვლედიანი და სხვანი მრავალნი აქ იყვნენ შეკრებილნი. თითქმის მთელი საზოგადოება აღტაცებული იყო ბანკის დამაარსებლის შრომით. იმ დროს მან შეიმუშავა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წესდება და მდლობის განსაცხადებლად უბრუნდნენ მასვე ერთ-ნმით არჩევას. მისი მომხრენი განათლებულნი მაშინდელი ახალგაზდანიც ბევრნი იყვნენ. ამავე დროს აქვე იყო ერთი პატარა განათლებულ კაცთა წრე, რომელიც იმ მთავარს წრეს ეწინააღმდეგებოდა. ამ პატარა წრეს ემხრობოდა ზოგიერთი წარმომადგენელი ჩვენის თვალ-აზნაურობისა. თითონ საზოგადოება იყო ფრად აღვლენული და შუღლით უყურებდა იმ პაწია წრეს, რომელსაც იფარადნენ საზოგადოების მრისხანებისაგან „შეიღნი ძმანი“ ახვლედიანი და გელოვანი, ჩინებულნი ვაჟკაცი, ბეკბუციანი, ახოვანი და მხენი მოქმედებით. საზოგადოება იმთავითვე წყრომით უყურებდა, რადგან არც იმით მოსწონდათ ის საფუძველები, რომელზედაც აგებული იყო საადგილ-მამულო ბანკის წესდება. მოწინააღმდეგე წრე არ უფროსოდა საზოგადოების შუღლს და ძალიან სასტიკად ჰქადაგებდა თუ სიტყვით და თუ ბეჭდით და ამჟღავნებდა ბანკის წესდების აუკარგებლობას. რად იყო ეს საზოგადოება იმ წუთს ასე აღვლენული და გულ-მოსული?

ყოველის გულ-წრფელის მოღვაწისათვის, რომელსაც ათისა და ოცის წლის კანამელობაში გაუცაცობით უღვევებია თვალ-ყური ჩვენის საზოგადოების განვითარებას და წინგაბრუნებას, ის, რაც მოჰხდა ენლანდელს საადგილ-მამულო ბანკის კრებაზე ქუთაისში, დიდი სასურველია რომ უნდა იყოს. დღეს იქით ყოველი ნიჭიერი, განათლებული და შრომის მოყვარე კაცი კიდევ უფრო თავგამებებით, მსხვერპლის შეწირვითა და მხნობით უნდა შეუდგეს შრომას საქართველოს ერის კეთილდღეობისათვის. წლებიდან ჩვენს მეგრელ-იმერელთა კრების კეთილშობილურს მოქმედებას, მის ქველ-მოქმედებისათვის მომწიფებულს სჯავს ყოველი ჩვენი განათლებული ახალგაზდა აღტაცებაში უნდა მოჰყავდეს. ის ამიერიდან უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მის თავგანწირვით დასაზრდობით აღვინებს ჩვენი საზოგადოება და მთელი საქართველოს ერი თვალ-ყურს. მას არ უნდა ეშინოდეს ამიერიდან არც გარემო დევნისა, არც ათას ნაირ ვაჭირებისა, რადგან მისი ღირსეული შრომა, აღრე თუ გვიან, უქველად დაჯილდოვდება ქართველთა ერის თანაზრდობით. „ნებარ ხართ, რომელნი სტრით აწი, რამეთუ იცინოდეთ“. (თავი 1, ლუკ.)

იმ გვარის სულგარდელის მოქმედების მაგალითი წარმოადგინა წლებიდან იმერეთის საადგილ-მამულო კრებამ. ასეთს სასურველია მოვლენას ჩვენს საზოგადოებაში ჰქონდა თვისი წარსული, თვისი სკოლა. მის ასახს-

ნისთვის, რომ იმ დღეს ტფილისიდან მოსული იყო ვაზ. „დროების“ ფურცელი და შიგ მძინვარე კრიტიკა იყო დაბეჭდილი ბანკის წესდების წინააღმდეგ. ეს კრიტიკა სხვათა შორის თავდებოდა შემდგომის სიტყვებით: „გვეყოფა ამდენი წერა... მოვითმინოთ ორიოდ. სამი წელიწადი, როცა თვალ-აზნაურობის ფულებს ვაჭრები და ურიები ისევ თავ-

ვალ-აზნაურობას მთავრებდნენ ძველებურის სარგებლით და როცა თავდაზნაურობა დაჰკარგავს თავის ადგილ-მამულს, მაშინ წარსდგეთ ენლანდელი ბანკის დამაარსებელი ჩვენის საზოგადოების წინაშე და ვითხოვთ თვალ-აზნაურობას: ჩვენგანი ვინ უფრო სტყუადა და ვინ უფრო აბრმავებდა?“. დიდი ბრავი გამოიწვია იმ დროს ამ წინასწარმეტყველებამ. აი, ამას გულისთვის ზოგიერთს წარმომადგენელს პაწია წრისას ემუქრებოდნენ და, რომ მართლა ცუდი რამ შეტაკება არ მოხდარიყო, „შეიღნი ძმანი“ ახვლედიანი და გელოვანი პაწია წრის ფარ-ხმლად გამხდარიყვნენ. სხვა მიზეზიც იყო საზოგადოების გარისხებისა. იმ დროს აკაკის ბასრი ენა და იმისი სასტიკი დაცინვა ზეთს ასსამდა აპრიანებულს კერას. მოვიყვან მაგალითს: ერთს პატივცემულს მაშინდელის საზოგადოების წევრთაგანს მოხუცებულობის გამო სათვალევე ჰქონდა ვაკეთებული, მაგრამ ეს სათვალევე თვლების მაგიერათ მუდამ შუბლზე ეკრა. აკაკის ჰკითხეს:

— რა მიზანია, რომ ის პატივცემული გვაში სათვალევეს მუდამ შუბლზე ატარებსო?

— იმისთვისაო, მოუფლო აკაკიმ: რომ გონებით მხედველობა აკლიაო...

გახსნა კრება. მოწინააღმდეგეთა მოითხოვეს ლაპარაკი საზოგადოების წინაშე. ამან აღძრა საზოგადოებაში სამინელი შფოთი, მოკრიტიკებს ბურთი ჩაუდეს პირში და კრებდგან განაძევეს, ერთის სიტყვის თქმის ნებაც აღარ დაუცადეს. აი, სურათი მაშინდელის მეგრ-იმერთა საზოგადოებისა.

გავიდა მას აქეთ ჭამჭეტი წელიწადი. 1889 წელს ათს მაისს კიდევ გაიხსნა ქ. ქუთაისის ბანკის მორიგი კრება, კიდევ შეგროვდა იმერ-სამეგრელოს საზოგადოება. მაგრამ მათ შორის ვერც ერთი უწინდელი მოთავეთაგანი ვეღარ შევიხსენეთ. აღარც ის განათლებული კაცნი იყვნენ, რომელნიც მაშინ საზოგადოების წინააღმდეგედ და ბანკის დამუშენებელად ირიცხებოდნენ. წელს ჩვენ შევიხსენეთ შოლოდ რამდენიმე კაცი, რომელნიც მაშინდელს მოთავეებს უკან დასდევდნენ. დღეს ისინი გაჰლარებულნი ზედამხედველს კომიტეტში წევრად იყვნენ და თავი იქ შეეფარებინათ. მაგიერად მომეტებული ნაწილი ენლანდელის კრებისა სულ ქორჟა ახალგაზრდობისაგან იყო შემდგარი. ისინი სრულიად მოწინააღმდეგენი შეიქნენ ზედამხედველის კომიტეტის მოქმედებისა და იმ ძველის მოთავეთა მიწვილ კაცებისა აღარა სწამდით-რა, აღარა ჰქონდათ მათი აღარავითარი ნდობა.

გახსნა თუ არა კრება, საზოგადოებამ მაშინვე მიაქცია თავისი ყურადღება ზედამხედველის კომიტეტის წევრთაგანს, მისი გონიერებაზე

ზოგადოებამ მხნით უჩვენა ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლი, რომელიც კომიტეტის წევრებს დაერღვიათ, და კენჭის ყრით განკიცხეს მათი მოქმედება რაიცა შეეცება საქველმოქმედო საქმეებისათვის ბანკის შემოსავლის მოხმარებას, წლებიდან ბანკის კრება აქაც სახელოვანად მოიქცა. მან გადაწყვიტა იმ ადგილებისა და მამულების ყიდვა, რომელნიც ყოფილან იმერთა მეფეთ ადგილ-სამყოფნი. მან შეიძინა საშვილი-შვილოდ კლასიკურის გიმნაზიის სადგომი და მისი გარემო-შენობები, უწინდელი ოქროს ჩაღდაყი, მეფე სოლომონის ეზო... მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ამბავი მოხდა 14 მაისს დანიშნულს კრებაზე. აქ ედებ კალამს, რადგან თვით ორატორების სიტყვები უფრო ცოცხლად გამოჰხატავს კრების ვითარებას.

თ. გ. ჯ. ბასიძე. ბატონებო, დღეს რიგი მოდგა ბანკის ღირეტიკარის არჩევისა... სანამდე შევეუდგებოდეთ ამ საქმეს, ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვა მოვასწერო პატივცემულს კრებას. რიგისამებრ ბანი ნ. ერისთავი გამოდის წელს და ახალმა არჩევანმა ან ისევ ის უნდა დანიშნოს, ან გონიერის მოსაზრებით სხვას უნდა მიჰმართოს. ვინ და როგორი კაცი უნდა ავირჩიოთ ამ თანამდებობაზე? კაცის და, მაშასადამე, მთელის საზოგადოების ბუნების კეთილშობილური მხარე იმ გვარად არის მორთული, თუ ვისმე მისთვის რაიმე ამავი უყვია სხვაზედ მეტი, მისის ინტერესების დაცვისათვის თავის სიცოცხლე შეუწირავს და საერთო მის ბედნიერებაში დაუსახავს და უცნია თავისი ბედნიერება, მაშინ უქველად იმას მომეტებულს სიყვარულს განუზიარებს და ეცდება სამეგრეთ, შესაფერი თუ არა, ოდნოვი მაინც პატივისცემა და სამსახური აღმოაჩინოს ამ გვარს სანთლით საძებარს ადამიანს. თუ რომელიმე ერი დანიშნებს, რომ ჩვენ ეყოფილვართ ამ გვარის კაცებით მდიდარიო, იქ ჩვენც არა უკანასკნელს ადგილს დაგიჭერთ და თამამად ვიტყვი, ჩვენც გვეყოლია და დღესაც რამდენიმე გვეყავს, რომელნიც თავისის მოღვაწეობითა და ნიჭით გვაშვენებენ. რადგან დღეს ჩვენ შორის არის ამ გვარი ადამიანი და ამშვენებს დღევანდელს ჩვენს კრებას, ის ადამიანი, რომელმაც მთელს ნიჭიერთაგანი, მომავლის მოიმედე ერთი რომელიც ოც-და-ხუთი, ოც-და-ათი წელი მხნით და დაუღალავათ მოღვაწეობას სალიტერატურო ასპარეზზედ და რომელიც მთელს ქართველს ერს უყვარს და აფასებს, — ამ ადამიანისთანას სხვას ვის ავირჩევთ ზემოხსენებულის თანამდებობის ასასრულებლად. მე, როგორც ერთი უმორჩილესი წევრი, მოვალე ვარ ეს კრძო სურვილი რამდენამდე წევრთაგანც მოვლს კრებას, მისს გონიერებაზე


შევაგდო ამ კითხვის გადაწყვეტა და იმ ძვირფასის ადამიანის დაფასება, რომელმაც საშვილი-შვილოდ დაუფიქარი და უკვდავი ძველი აღუფო ჩვენს ერს თავისის თხოვლობით.

ბუბურა ბუბური-შვილია ბატონებო, დროა ისეთს კაცებს ვირჩევდეთ საზოგადო-სამსახურისათვის და ვაფასებდეთ, რომელნიც თავიანთს ძალ-ღონეს, სულსა და გულს სწირავენ თავისს სამშობლოს და მუდამ დღე მსახურებიან საზოგადო საქმეს. ბატონი აბაშიძე დაბადებულნი არ ყოფილა, როცა ჩვენ ესწრობდით იმ კაცს, რომელიც მან წინ წამოაყენა; ჩვენი მოვალეობა იყო, რომ ბანი აბაშიძე უწინ ის კაცი ჩვენ მოგვეგონებოდა, მაგრამ მან მოგვეასწრო, რისთვისაც მადლობა უნდა შეგსწიროთ. თუმცა არ არის საჭირო მითითება, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამისთანა ღირსების კაცი ჩვენ შორის ამჟამად არის ჩვენი გამოჩენილი, ძვირფასი და ქვეყნის თვალს პოეტი აკაკი წერეთელი.

ამ სახელის ხსენებაზე იზრიალა საზოგადოებამ და ისეთი ხმა გავარდა ტაშის-ცემისა და ყვირილისა: „აკაკი იყოს ღირეტიკარადო!“, რომ თითქმის კლდის ხუილს დაემსგავსა. დიდახს არ დაწუნარბულა ასეთი აღტაცება. ბოლოს წამოდგა აკაკი ყველამ ხმა გაკმინდა.

აკაკი წერეთელი. ბატონებო! უფულისათვის მადლობას გვირავთ იმ პატივისთვის, რომელიც გსურთ მე მომანიჭოთ! საზოგადოების ამ გვარი ყურადღება ყოველ გვარ ჯილდოზედ უტყვისად და უსასურველესად მიმანია, რადგან მესმის საზოგადოების ფასი და შეგნებული მაქვს თითოეულის მისის წევრის მოვალეობა.

როდესაც საზოგადოება აკისრებს მისს თითოეულ წევრთაგანს რამე მოვალეობას, რაგინდ უმცირესიც იყოს ეს მოვალეობა, წევრს მაინც ნება არა აქვს, რომ სიმდაბლითა და მორჩილებით არ მიიღოს მინდობილება, თუ-კი ჰგობობს, რომ აღსრულება შეუძლია. სწორეთ ამ გვარს მდგომარეობაში გახლავარ მე დღეს: რომ მოვასწეროთ, ბანკის ღირეტიკარობა ჩემს ღონეს აემატება — თქო, ეს ჩემის მხრით თავის მოკატუნება იქნება და არც არავინ თქვენგანი დაიჯერებს, მაგრამ ეს უწუხვარ, რომ დღეს მაინც უნდა ვეუწრო თქვენს ბრძანებასა და სურვილს შემდგომის მიზნების გამო, რომელთაც გულახსნით მოვასწენებთ: როდესაც ამ სათვალ-აზნაურო ბანკს აფუძნებდნენ, მაშინ ზოგიერთი ჩემი ახსანავი და მეც, მათ რიცხვში ერთი უმცირესთაგანი, წინააღმდეგი ვიყავით იმ პირობებით ბანკის დაარსებისა, რა პირობებითაც დაარსდა. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, რის გამოც ბევრი უსამართლო ცილის — წამება ავიტანეთ და მრავალი უსამაროვნება ვიტვირთეთ. მაგრამ ყველაზედ უფრო გულ-სატყენი ჩვენთვის ის იყო,



რომ ზოგიერთებმა პირადობა შეგვწამეს: ვითომც ჩვენ თითონ გვეღმებოდნენ იმ ბანკში შესვლა, ანუ, როგორც ისინი ეძახდნენ, ბანკის ხელში ჩაგდება. ჩვენც ჩვენის მხრით შეუზავარის გულ-წრფელობით ბევრი რამ წარმოგვსთქვით და სხვათა შორის ესეც: „ბატონებო, გაივლის რამდენიმე წელიწადი, და ჩვენი სიტყვა წინ დაგვიდგება. ამ გვარი ბანკი მძიმე ულულად დაგაწვებთ კისერზე, შეგაწუხებთ, შეგანანებთ და მაშინ-კი უწყველად ბრძანებთ: არ გვეგონა, თუ ეს დაგვემართებოდა! მაგრამ დავგიანებულნი „არ გვეგონა“, სწორედ მოგახსენოთ, უსარგებლო მალამოა წყლულისა“. თუმცა დიდმა ხანმა ვაი არა მას შემდეგ, რაც ეს წარმოითქვა, მაგრამ შინც გვახსოვს. კერძო რამ ადვილი დასაფიქრებელია. შეიძლება გუშინდელი ნათქვამი დღეს აღარ გვახსოვდეს, დღევანდელი ხელს დაგვაფიქრდეს, როგორც საპირადო და კერძო რამ, მაგრამ საზოგადო მოვლინება - კი, გინდა მცირედით იყოს, ღრმად იბეჭდება გულის ფიკარზე, და აი, თუ რათ გვახსოვს მაშინდელი ნათქვამი. დიან, თვალწინ გვიდგია ის სიტყვები, არ შეგვიძლია მისი გატეხა და ბოღის ვინდით ურჩობისათვის. თქვენ შეგიძლიანთ ჩვენივე სიტყვები მოგვიბრუნოთ და გვიბრძანოთ: „როდესაც კაცი საზოგადო სარბიელზედ გამოდის, ის მონა არის საზოგადოებისა, კერძობა პირადობაზედ ხელაღებულია“. ამ თილი, მაშინ ჩვენც აღარ გვეთქმისრა, მაგრამ მე ამ შემთხვევისათვისაც მეორე ფარი მაქვს მზად: კაცი ან უნდა არ ჰქიდებდეს ხელს საზოგადო საქმეს და, თუ მოჰქიდებს, უთუოდ კიდევ უნდა მოანდომოს და შესწიროს მას მთელი თავისი გრძობა-გონება და ჯანღონე. ტყუილი თქმა, ვითომც შეეძლოს ვისმე ერთსა და იმავე დროს ბევრის საქმის გაკეთება ისე, რომ არც ერთს არა დააკლოს.

რა. ამ გვარივე ბანკის დირექტორობაც: სცდებიან, ვისაც ჰგონიათ, რომ არა უნდა-რა ამ ხელობას ვარა და სამ-გვარის ხელობა-მოწიროსა: „დააფასეთ სხვისი მამული“, „გაპყილეთ სხვისი მამული“, და „მიბოძეთ ჩემი ჯამაგირი“. მე რომ დირექტორობა ვიკისრა, საკუთრად მაგ მოხელეობას უნდა დაუდვა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი... თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სასარგებლოა, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები. ეგება ბრძანოს ვინმემ: რა საქმეა მაგისთანა? ჩვენ მხოლოდ აქეთიკით მოუსვენრად მოარულსა გბედავთ და შენი ფეხ-ალაგაბრივი არა შეგვიწინააღმდეგავს! და მაშინ მე იძულებული ვიქნები მოვახსენო მაგალითი. მაგრამ ჯერ-კი წინდაწინვე ვითხოვ, თავნებობით ნუ ჩამომართმევთ იმ შედარებას, რომელიც აქ უნდა გამოგატო საშავალითოდ: შეიძლება კაცმა უმცირესირამე უდიდესს საგანს შეადაროს და მეც ამ უმცირესობაზე ვაყენებ ჩემს თავს: ფუტკარი ყოველთვის დაბუზის, დაჭრინავს იქით-აქეთ, ფეხ-ალაგაბრივი მის მუშაობას ვერაფერს ვხედავს, მხოლოდ იმის ნამუშევრით სარგებლობენ... ის რომ ვინმემ დაიპიროს, დაამწყვდილოს, დააბას და ის ისარიც ამოჰკლიოჯოს, რომელსაც ფუტკარი ფარად ხმარობს ხელის შემშლელზედ მუშაობის დროს, ის შეიქნება მაშინ მშვიდობიან-მოსვენებულ და უწყინარ არსებად, მაგრამ ჩვენ-კი იმავე დროს მოკლებული ვიქნებით იმ თაულს, რომლითაც ხანდახან პირს ჩავიგვიმრიგებთ ხოლმე და იმ სანთელსაც, რომელიც ბნელს გვიანათებს! ბოღის ვინდით კიდევ ამ გვარ შედარებაზე და კიდევ გავიმოვრებ, რომ ეს თავ-ნებობით არ მომდის. თუმცა ამდენად არა, მაგრამ შედარებით ცოტააღნადკი ჩემი თავი მეც

პატარა, ძალიან პატარა ფუტკარად მიმაჩნია. ეგება შემცდარიც გახლდეთ, მაგრამ რა ექნა, რომ მაინც დარწმუნებული ვარ და ნება არა მაქვს, რომ ამ ჩემს რწმუნებას ვულალატო. სწორედ დღეიდგანაც იმ უსასყიდლო გზით უნდა ვიარო, რა გზითაც აქამდე მივიღია, რომ უფრო მეტი სამსახური გავეწეო საზოგადოებას, და აი კიდევ მისწვი, თუ რათ ვეწინააღმდეგები თქვენს სურვილს. ცოტანი არ არიან ჩვენში რიგინად მომხადებელი ყაჭვილი კაცები, ვთხოვთ რომ იმათაც შეხედოთ მაგ თვალთვე, გადაიტანოთ მათზედ თქვენი გულ-წრფელობა და მით გამოიწვიოთ თქვენდა სასამსახუროდ, და მე-კი მათით თქვენი ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა.

შეიქნა ერთი საშინელი „ბრავოს“ ყვირილი და ტაშის-ცემა. ისმობა აგრეთვე: „შენ გადღეგრძელოს ღმერთმა დიდხანს!.. რაც მართალია, მართალია! ხმაურობა დიდხანს არ შეწყვეტილა. ბოლოს, როცა საზოგადოება დაწყნარდა, დაიწყო თ. ჭკავთ მიქეჯაქმე: „მას შემდეგ, რაც წარმოითქვა თავ. აბაშიძისაგან შესახებ აკაკი წერეთლის მსახურებისა თავის ქვეყნისადმი, ჩვენ ენახეთ, რომ საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ის მცირე პატივის მინიჭება, რომელიც მას მივაწოდეთ, მაგრამ აკაკი უარსა ჰყოფს ამ ნაირის მოვალეობის ტვირთის თანხმად მისის პოეტურის მოსახრებისა და ტრადიციისა. ბატონებო, ებლა ჩვენ სხვა ნაირად გამოგნატოთ ჩვენი სიყაჭული და მადლობა იმ კაცისადმი, რომელიც უანგაროდ ემსახურება ჩვენს საქმეს ამდენი ხანია: დაუწინააღმდეგოთ აკაკის ათას ხუთასი მანეთი სიკვილიამდე“.

კრება აღტაცებაში მოვიდა ამ გვარის წინადადებით და ერთ ხმად იგრილა: „დაუწინააღმდეგოთ, დაუწინააღმდეგოთ!“

თ კარგი ღორთქიფანაძე: ბატონებო! ჩვენ ის-კი ნუ გვეგონება, რომ ეს ჯილდო იყოს შესადარი იმ დამსახურებისა, რომელიც აკაკი წერეთელს მიუძღვის თავის სამშობლოსადმი. ეს არის მხოლოდ ნიშანი სიყვარულისა და თანაგრძობისა, რომელსაც საზოგადოება თავისს საყვარელს პოეტს უცხადებს. ეს არის ერთი წელიწადი ქერივის დედაკაცისა, გულ-წრფელობით მიწოდებული საზოგადოების მიერ.

„დიან, დიან, აგრეთა!“, გაისმა კრებაში.

აი, მეორე სურათი წლევანდელის საზოგადოებისა.

ვინ წარმოიდგენდა. თუ ცამეტს წელს შემდეგ ის პაწია წრე, რომელშიაც მაშინ თავ. აკაკი წერეთელიც ირიცხებოდა, იცვლებოდა მთელ საზოგადოებად და მაშინდელის მწერლების აზრი და მიზართულება დღეს მთელის საზოგადოების განგებთს საზრდოდ გადაიქცეოდა.

თითოეულის ერის ცხოვრებაში ხშირი არ არის ასეთი კეთილშობილური გულის ძგერა. მით უფრო სანუგეშო უნდა იყოს წლევანდელი ბანკის კრების მოქმედება. იმაში ხანს ერის ცოცხალი მაჯის ცემა, ის სიცოცხლის ნაპერწკალი, რომელიც გვაძლევს იმდეს, რომ თანდათან გაძლიერდება მომავალში. ბედნიერი დროა ერის ცხოვრებაში ის ხანა, საიდგანაც იგი იწყებს თავისის ერთგულის შეილების გაცნობას და მათის მოღვაწეობის დაფასებას. ეს წამი ამოცისკროვნდა დღეს ჩვენს საზოგადოებაშიაც, ამერიდგან ჩვენი ერი კარგად მიხვდება, ვინ არის იმის მადლობის ღირსი, ვინ არის იმის მტერი და მოყვარე.

ვაი თქვენდა ფარისევლო, რამეთუ მიგიღებთ ნუგეშის ცემა თქვენი. ვაი თქვენდა, რომელიც იცი-

ნით აწ, რამეთუ იგლოვდით და სტიროდით“. თავ. აკაკი წერეთელი

ახალი ამბავი

* * გუშინ დღემით მოგვივიდა ქუთაისიდან შემდეგი ამბავი: დღეს აქ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვრად ამორჩეულ იქნა სვიმონ წერეთელი დიდის ხმის უმეტესობით.

* * ამ თთვის 23-ს, სამშაბათს, საადგილ-მამულა ბანკის თეატრში ბ.ნ კონსტანტინე სლავიანსკის რუსულ მომღერალთა ხორა გაშპართავს კონცერტს.

* * მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოების კორრესპონდენტს პ. დ. დავილოვს შეუწირავს ამ საზოგადოებისათვის სხვა-და-სხვა ძველი ნივთი, რომელიც ქუთაისის ახლო-მანლო ადგილებში უპოვია. დავილოვის კოლექციაში ზოგი ლითონის ნივთი იპოვება და ერთი საუცხოო ხატი წმ. ნიკოლ აოზ სასწაულ-მომქმედისა.

* * ამ თთვის 19-ს ოპერის თეატრის ქვემოდგან ერთმა მებოვოსკემ მტკვარზე ცხენი ჩააყენა წყლის დასალევად. წყალმა შეცრად აზოვოსკა მოიტაცა შუაგულ მდინარეში და წაიღო. დირჩეობოდა საწყალი კაცი, რომ ამ დროს ერთი მცურავი ბიჭი არ შესწრებოდა მდინარის კუნძულზე, პატარა სატივესთან. ამ ბიჭმა კაციც გადაარჩინა და პოვოსკაც, რომელიც ცხენი-კი დამრჩეალი გამოათრია.

უფრო დიდი უბედურება დატრიალდა მტკვარზე ამ თთვის 17-ს: ორ-მშაბათს, ამავე თეატრის პირდაპირ, ერთმა მეთეატრემ ფა. ტონი წყალში შეაყენა, წყალმა გაიტაცა ფი-

ფელეტონი

იალბუხის ბარამო

(შემდეგ*)

როგორც იყო, მოერჩით მამასახლისის ჯიუტობასაც და ჯორის შოვნასაც. ეხლა სოფლად საზოგადო არა-რადგერი გვექონდა, წასასვლელად არა-ფერი გვაბრკოლებდა. ნაშუადღევს ხუთი საათი იყო, რომ სადილი ვსუამეთ და სოფ. თავრარადგან გავუღვე-ქით გვას. ჩვენს ქარავანს 50 კაცი შეადგენდა, გვეყავა 15 ჯორი და 4 ცხენი. თან მიგვექონდა ყველაფერი, რაც-კი მგზავრისათვის საჭიროა მთა ადგილებში: გამომცხვარი პური, დაფქული, არაყი, სხვა-და-სხვა მავარი სასმელები და თევზეულობა, ქუთაისიდან წამოღებული ღვინო, ცამეტი დასაკლავი ცხვარი და ორი ქვები, ნაჯახები და სხვა რამე. მზიანი დღე იყო და კიდევ ცხელია. ამ დღეს ექვსი ვერსი გავიარეთ და ერთს სათიბში დავბინავდით. ჩვენი გზა ჩრდილოეთით მიმართებოდა „დონღუზორუმის“ უღელტეხილისაკენ, რომელსაც სევანები „ბიზინგის“ და „ქამუკის“ კარკს (ხარხი) ეძახიან. ამ უღელტეხილს სამხრეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადაჰყავს კაცი. ძვეს იგი იალბუხის სამხრეთ. მზე

ჩასული იყო, როდესაც მივედით ბინაზე სათიბ „თეკრს“. სათიბი თეკერი ერცელია, ირგვლივ არტყია ბუჩქები და დაბალი ტყე. მისვლისათვის ბიჭებმა უცებ ჩამოყარეს დატვირთულ ცხენ-ჯორებიდგან ბარგი და ერთს ადგილას დააწყეს. ვაფიყავით რამდენსამე ჯგუფად და ყველა ჯგუფმა თავ-თავისი ბინა-ადგილი მივიჩინეთ. წარმოიდგინეთ მთაში ვაშლილი, აქა-იქ უსწორ-მასწორა სათიბი, რომელსაც გარს არტყია მოზარებით ხშირი და მაღალი ტყე და ახლოს-კი ნაირ-ნაირი ბუჩქები; ბუჩქებში შაშვებისა, გულ-წითელასი და სხვა ჩიტების გავრენ-გამოფრენა, კიკიკი; რამდენიმე კამკამი მთიური წყარო სათიბშივე; ექვს ადგილას დანთებული ცეცხლი, რომელსაც გარს უსხდა მზიარული ჯგუფი თანამოგზაურთა; სამს ადგილას ხის ტოტებზე ჩამოკიდებული დაკლული ცხვარი, რომელსაც საჩქაროდ ატყავებენ სახელოებ-შეკეცილი სევანები; ჯორცხენების მაღიანი ჭამა და ხრამა-ხრამი სათიბის ნოყიერ ბალახისა; ზევიდამ კაშკაში ღორჯი ცა, საუცხოვოდ მოკვდილი ურისების ვარსკვლავებით, რომელთაც ცოტა არ იყოს თავისი სიმშენიერე 12-ს საათზე ამოსულმა მთვარემ წაართვა; გრილი და წმინდა ნიავი, საამოდ მაშრიალვბელი ხის ფოთოლთა და გამაგრებულბელი კაცისა; ყოველის მხრით შორს-შორს უთოვლო და თოვლიანი მთის

მწვერვალნი სხვა-და-სხვა შეხედულობისა და სიმაღლის მექონი... წარმოიდგინეთ და ეს იქნება მკრთალი აღწერა იმ დიდებულის სურათისა, რომელითაც ჩვენ ვსამაგნებდით ხუთს აგვისტოს სათიბ თეკერში. ჩვენ, „ბატონებს“, როგორც გვეძახოდნენ სევანები კომისიის წევრებს, ერთს ბუჩქის ძირში გავვიკეთეს ბინა, ძირს ხის ფოთლიანი შტოები დავვიგეს, თავით უნაგრები დავვიდეს, შორი-ახლო ცეცხლი დავვიდეთ. ეს იყო ჩვენი ბინა. თორმეტ საათზე ვახშიამი მზად იყო. ყველა მოწადინებული ვიყავით მშენიერის სურათის შესაფერი ვახშიამი მიგვერთმია. მოხელემ მთელი ჩვენი ბარგი გადაქეცა, უნდოდა, რაც-კი გავგანდა საქმელ-სასმელი ყველა მოგნახა და ცოტ-ცოტა ყველასაგან გვეგემა. უცებ ჩვენს სურაზე გაჩნდა: ცივად მოხარული ხმოს ხორცი, კალმანი, ხიზილალა, ზუთხი, სარდინკა, ყველი და ცხვრის მოხარული და შემწვარი ხორცი. იქვე გაჩნდა ერთი ბოთლი კონიაკი და ტიქორა ღვინო. ყველა ამას მოხელე თავს დასტრიალებდა, ახლო არაფერ მიგვეკარა, მომპირნე დიანახლისივით უნდოდა და ყველაფერი ბლომად გვექონდა და ამასთანავე სხუისთვისაც და გვრჩენოდა რამე, რომ ყველაფერი იმ დამსევე არ შეგვექამ-შეგვესუა. ბოლოს, როგორც იყო, მოხელე მორჩა თავისს საქმეს და გვიდირსა თქმა — დასხედითო. ჩქარა ფეხ-მოკეცილი ვარს

ვერტყით ხორავით საცე სუფრას. პირველად კონიაკი მოვაყოლეთ და შემდეგ ჯერი ღვინოზე მიდგა. ყველანი ვიძახოდით, რომ ღვინო ცოტა დაგვეხარჯა, მაგრამ როდესაც სამი-ოთხის სტაქნის შემდეგ თავში გავვიჯდა, მაშინ-კი ღვინოს სმაზედ უარი არავის უთქვამს.

მოჰყვა ქიქა ქიქაზედ, გაისმა ჩვენს ჯგუფში „მრავალ ქამიერ“ ქართულად, რუსულად და სევანურად-კი. რომ აღვსილიყო ფილა ჩვენის მზიარულებისა, მოხელემ სევანებს უბრძანა ემღერათ სევანური სიმღერები. ამ ნაირად გაისმა ხუთს ადგილას ერთი მეორეს მიყოლებით სევანური სიმღერა და მეექვსედ ჩვენი ჯგუფი განაგრძობდა თავის სიმღერას. ტოლუმბაშად ნაცნობი მოხელე გვეყავა. როდესაც სადღეგრძელო სევანთზე მივიდა, მოხელემ გრძელი სიტყვა წარმოხსთქვა. მან დაგვიხატა სევანეთის უწინდელი და ეხლანდელი მდომარეობა და ის დაასკენა, რომ უწინდელს, გამოკეთდა, ხალხმა შეივნო კანონის მოთხოვნილება და ეს მოხდა მხოლოდ სევანთში მოსამსახურე მოხელეობის წყალობითაო. ამ სიტყვამ კამათობა გამოიწვია. უნდა გამოვსტყვევო, სთქვა ერთმა კომისის წევრმა, რომელიც ჩვენს სიმღერამზარულებში მონაწილეობას არ იღებდა: რომ მე ვერაფერი ნაყოფი აქ მოსამსახურე მოხელეობისა ვერ

დავინახე რაო. პირ-იქით, მე ვხედავ, რომ აქ მოსამსახურეთა სრულიად არაფერი გაუკეთებიათ და ვერაფერი კვალი ზედ-მოქმედებისა ვერ დაუტოვებიათ ხალხში. ამაში დამარწმუნა ბევრმა მაგალითებმა, რომელსაც ვხედავ ამ სევანთში მყოფობის დროსაო. როდესაც ვხედავდი სცენებს, ბნო მოხელე, თქვენსა და მამასახლისებს-შუა, მე ჩემს გოლში ვამბობდი, ნუ თუ რუსეთის ამაღლობელოში ვარ-მეთქი? მე დავრწმუნდი, განაგრძო წევრმა: რომ თქვენ ვერც ნდობა, ვერც პატარის-ცემა და ვერც სიყვარული ხალხისა ვერ დაგვიმსახურებიათ. რითი უნდა აიხსნას ეს ამბავი? თქვენ გვანათ, რომ სევანები მხეცები არიან? ტყუილი აზრია, მათი თქვენთან დამკვიდრებულება მარწმუნებს, რომ სევანებმა კარგად იციან კაცის ცნობა, რომ ისინი არჩევენ ავს კარგისაგან და სხვა-და-სხვა. ამის გამგონე მოხელემ ბევრი მკვანე სიტყვები გაგონა წევრს, ასე რომ უკანასკნელი იძულებული შეიქმნა ვახშიამდგან ამდგარიყო; იგი მოგვემორდა და შორი-ახლო ბუჩქს ქვეშ ჩამოჯდა. მოხელემ-კი ლაპარაკი არ შესწყვიტა, თავისას უმტკიცებდა კომისიის დანარჩენს წევრებს, რომ მოხელეობამ ბევრი სიკეთე შესძინა სევანთსაო და სხვა ამ გვარები. წევრს კარგად ემოდა, რომ მოხელეს ხანგრძლივი და გაჯავრებული ლაპარაკი მის სიტყვებმა გამოიწვია, და რამე-

* ის. „ივერია“ № 100 101 და 102.



ტონი და კაცია და ცხენებიც და-
აღრჩია.

*** * * ზუგდიდი:** ამ ორის დღის
წინაღ მოვიდა აქ სასოფლო სკოლე-
ბის დირექტორი, ბ-ნი ლევიცი და ურ-
ჩია აქაურს საზოგადოებას, რომ ოთხ-
კლასიანი სასწავლებელი დააარსეთა.
საზოგადოებამ დიდის თანაგრძობით
შეგზავნა ამ საქმეს. წინაღ ჰქონდა
ზუგდიდს სურვილი დაეარსებინა
ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავ-
ლებელი, მაგრამ დღემდე როგორ-
ღაც ვერ ეხერხებოდა. ახლა-კი ზუგ-
დიდს სრულიად არ უნდოდება, რად-
გან ჩვენმა დაბამ უკვე შეისრულა თა-
ვისი წადილი და გამოისყიდა მამულე-
ბი სამეგრელოს თავადისგან. ღმერთ-
მა იწებოს!

*** * * ოჩქოში:** დღეს მოასვენეს
სოფელ გულდავადგან (გინდ-ეწერიდ
გან) ყჩაღების მიერ მოკლული ბელ-
გიის კომპანიის დირექტორი ფილიპე,
სათვის ორზედ ანდროი აუგეს მკ-
ლესიაში და შემდეგ მიბარეს მი-
წას. აქაურმა საზოგადოებამ, რომ-
გორც მოხელეობამ, ისე ვაჭრებმა, პა-
ტივი სცეს განსვენებულს მიცალე-
ბული აქ თითქმის ხუთი წელიწადი
იყო და ბევრი ნაცნობები ჰყავდა.
დასწრე საზოგადოებას მეტად აუ-
ჩუყდა გული, როცა განსვენებულის
ცოლი შეიღის წლის პატარა ვაჟი
კუბოს ადგა თავზე და მღუღარე
კრემლებს აბნევდა. ამ გულსაკლავ
სანახაობაზედ ბევრს კრემლი მოერია
და ქეთინი დაიწყო. ყველას გულით
ენანებოდა და ეზარებოდა ამისთა-
ნა პატიოსანი ადამიანი, რომელიც
შეუბრალებელმა ავაზაკებმა გამოა-
სალმეს წუთი-სოფელს. არ გასულა
რამდენიმე საათი და ამბავი მოვიდა
გულდავადგან, რომ ამ საქმის შესახებ
რეა კაცამდე უკვე შეუპყრითო. ამ
გარემოებამ ერთობ გაახარა აქაური
საზოგადოება. დღეს ჩამობანდნენ

ამ საქმეზედ ბ-ნი პროკურორი და
ოლქის სასამართლოს გამომძიებელი.
აგრეთვე მომხმანდა სოხუმიდგან სო-
ხუმის ოლქის უფროსი ბ-ნი პუცე-
ვალოვი. ესენი წაბრძანდნენ ადგილობ-
რივ საქმის გამოსაძიებლად.

*** * * ამ თვის 19-ს,** მეათე განყოფილება-
ში, მეორე გილდის ვაჭრის ავეტო ვლიაზ-
როვის ფაბრიკაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი
დააქრო ცეცხლის-მკრობელმა კომანდამ, რომ-
მელსაც მიუშველნენ ცხენის რკინის გზის მო-
სამსახურენი. ფაბრიკა და საქონელი დაზღვე-
ული არ იყო და, რამდენია ზარალი, ჯერ არ
იცან.

*** * * იმავე დღეს,** მეცხრე განყოფილებაში,
კავკასის მოქალაქის ექვთიმე ბედანოვის ვაჟი
დანიელი, რვა წლისა, მტკვრის პირს თამა-
შობდა და გაუფრთხილებლობით წყალში ჩა-
ვარდა და დაიღრეა.

უცხოეთი

საშარანბაში. მსოფლიო გამოფე-
ნის გამო ევროპაში ყველგან მყუღ-
დობა ჩამოვარდა. არსაიღამ არა ის-
მის-რა ყურებ დასაკეტი და ასა-
ღვლევებელი. ესლა ყველა, ბრალიანი
და უბრალო, პარიეს ეტანება და უნ-
და მსოფლიო გამოფენას მოჰყრას
ცალი თვლიმინც. საკვირველიც არა
არის-რა: პარიეი ესლა სავსეა ყო-
ველ ევარის სანახაობითა და გასართო-
ბით. უიმიოდაც მსოფლიო ქალაქს
დღეს უფრო მეტის საბუთით შეუძ-
ლიან მსოფლიო ქალაქად იწოდებო-
დეს, რა ტომისა და ჯურის ხალხს არ
იპოვით ახლა იქ, რა ქვეყნიდამ,
რა კუთხიდან არ არიან იქ მისულ-
ნი, თუ თავის გასართობად და თუ
სხვათა გასართობად. ამ უქანსკენ-
თა შორის იქ მისულა ერთი ამერი-
კელი ოსტატო კაციც, სახელად კო-
ლი. კოდის ოსტატობა ის არის, რომ
იმას ჰყავს დასი ამერიკელი-ინდოე-

ლებისა, ჯოგი ბიზანებისა, აფრიკელ
მონადირეთა, ცხენოსან ქალთა, და
ამათის შემწობით ჯდგენს სცენებს
ამერიკის ცნობებდამ კუჭებიცა და
მინირლის გემოვნებზე. კოდის ცრ-
თი ოსტატობაც სკოდნა: ამერიკუ-
ლის რეკლამის მომხმანება. რეკლამის
შემწობით მთელი პარიეი უფხვე და-
უყენებია ამ კაცს. პარიელი წარმო-
გენა მუქთად გაუმართავს და მიუწყე-
ვია მთელის პარიეს დიდი საზოგადო-
ება, პრეზიდენტ კარნელად დაწყებული
ჩანჩალა ქურნალისტამდე. ამ წარ-
მოდგენას დასწრები 10,000 მაყურებე-
ლი. ფრანგებს ძალიან მოსწონებიათ
კიდევ ბარბაროსნი ინდიელები, მა-
თი ცხენთა ქენება, ნადირობა, თავ-
დასხმით ბრძოლა პონერებთან და
ბევრი რამ სხვა ამ გვარი. კოდისაც
ეს უნდოდა. ორ სამ კერას ვაიე-
სება ოქროთი და ჭახვეს ისევ
თავის ქვეყანაში.

მამბანი. გერმანია მინც თავი-
სას არ იშლის და უნდა ქვეყანა გა-
კვირვოს თავის ჯართა სიმრავლით,
დრავუნებით და ოქრო-ვერცხლით
შელესილის ცხენოსანის რაზმებით.
აქაო-და იტალიის მეფე ჰუმბერტო გვე-
წვია, ბერლინში გამართეს დიდი პა-
რადი და იყო ერთი ჯარების გრია-
ლი. ერთგან სტუდენტებს ჩაეცვათ
ძველებური ტანისამოსი და დაწყვი-
ტებულნიყვნენ იტალიის მეფის პატი-
ვის-საცემლად ქუჩაში, მაგრამ სწო-
რედ იმათ წინ ჩამდგარიყვნენ დრა-
გუნთა რაზმები, ისე რომ სტუდენტე-
ბი და მათი საინტერესე ძველებური
ტანისამოსი სრულიად შეუარებულნი-
ყო. სტუდენტებს ეთხოვნათ დრა-
გუნთა უფროსისათვის, ნუ დაგვე-
რავთ ჯართ, ჩვენც დავეინახოს მე-
ფე ჰუმბერტომარა, მაგრამ უფროსს
ეს თხოვნა არ შეეწყურებინა. სტუ-
დენტები ამდგარიყვნენ და ხმა-ამოუ-
ღებლად დაბრუნდნენ უკლებლად
უნივერსიტეტში.

ვლია, რომ ყველანი ბუჩქების ძირ-
ში დაეწყვიტო დასაძინებლად გარდა
მოხელისა, რომელიც ისევ მარტო
დასეირნობდა ჩვენზე მოშორებით.
იმის ჩვენთან მოხელამდე მე კიდევ
დამძინებოდა და მარტო მეორე დღეს
ენახე დაღრემილი მოხელე. სისხამი
დილა იყო, როცა ყველანი ფხვზე
ვიყავით. ბიჭები ფაცა-ფუცობდნენ.
ზოგი ჰკავშავდა ჩვენს ცხენებს, ზოგი
საბარგოს, ზოგი ბარგს ჰყრავდა და
საპალნეს ასწორებდა, რომ ცუდს
გზაზე რომელსამე ცალს ხრამისაკენ
არ გადაეწია მეორე ცალი ცხენი-
თურთ.

აი, მზად არიან ბარგის ცხენები;
მოხელემ წინ გაისტუმრა მებარგულე-
ნი, რადგან ჩვენ მინც მალე დავე-
წყვლით. ჩვენთან დავიტრავეთ მარ-
ტო სუბუქად დატვირთული ჯორი,
რომელსაც სხვათა შორის ჩაის მო-
წყობილობა ეკიდა. ბარგის წასვლის
შემდეგ ჩაი გაეკეთეთ და შემდეგ
ჩვენც გაფულექით გზას.

სანამ გზას გავუდგებოდეთ, მინდა
მკითხველს მოკლედ გავაცნო კომი-
სიის ერთი წევრი, თავ. ზ. ჯ, და
იმის სენაში მოღვაწეობაზე რამ-
დენიმე სიტყვა ესთქვა.
კახელი თავადიშვილი ზ. ჯ.—ძე
სენათის ბოქალად დაინიშნა 1868
წ. და დარჩა ამ თანამდებობაში რვა
წელიწადი. რვა წელიწადი კარგი ხა-
ნია, რომ მოსამსახურემ, რომელსაც
მთლად აბარია სეგებელი ისეთის პა-

ტარა კუთხისა, როგორც არის სეა-
ნეთი, რითიმე თავი იჩინოს, თვალ-
საჩინო საქმე გააკეთოს. მით უფრო
მოეთხოვებოდა ეს თ. ჯ.—ძეს, რომ
იგი ამ ხნის განმავლობაში სრული
ბატონი იყო სენათისა. იმის დროს
სენაებმა მეტი უფროსი არ იცოდ-
ნენ და თ. ჯ.—ძე წარმოადგინილი
ჰყავდათ, როგორც დიდს უფლების
პატრონი. მაგგვარა გაუნათლებელს
ხალხში, როგორც არიან სენები,
ყველაზე უფრო საჭიროა ხელის-
უფალმა ხალხს ნდობა დაიმსახუროს,
რომ ზნეობისა და პატიოსნების მხრით
მავალითი იყოს ხალხის შესახედად
მინც. თუ ეს ორი თვისება და ღირ-
სება არა აქვს ხელის-უფალს, იმისი
მოღვაწეობა ვერასოდეს სასურველს
ნაყოფს ვერ გამოიღებს ხალხის სა-
სარგებლოდ. სამწუხაროდ, თ. ჯ.—ძე
მტკიცდარ ადგა ამას. თ. ჯ.—ძეს
როგორც იმის წინა-მოადგილე
ებს, პირველს წლებში მომეტებუ-
ლად სადალიშქელიანო სენათში შე-
ხედა მოქმედება. იგინი სულ ბა-
ტონ - ყმობაში ტრიალებდნენ და
იმათს საქმეებს არ არჩევდნენ.
თავ. დადიშქელიანების ყმები დარ-
წმუნებულნი იყვნენ, რომ თ. ჯ.—ძე
ბატონებს უდგებდა, იმათ მხარეს იჭერს.
ამან არა თუ სადალიშქელიანო სეა-
ნეთში, თავისუფალიშაქს, სადაც ამ
გვარი აზრი მალე გავრცელდა, ფრთე-
ბი შეაკვეცა თ. ჯ.—ძის გავლენას
ხალხში. ერთი დავიდალბან ამტები

იტალია. დებუტატს იმბრიანის
უკითხავს მთავარ-მინისტრისათვის პარ-
ლამენტში: რა უკადრისს საქციელს
პარლამენტს ვაჭეთები ჩვენს ელჩს ტრი-
ესტში, ვითომ ელჩს დურანდოს და-
ებუტატის პიკოლი, თავმჯდო-
მარე ტრისტელ ნოტარიუსებისა, რომ
ამ კაცმა იტალიის გაერთიანების საქ-
მეს თანაგრძობა გამოუტყდა და
ისურვა, რომ ტრისტეტი შეუერთდეს
იტალიასაო. კრისპი ამზე უხასუბა
იმბრიანის, რომ ეგ ამბავი დაუჯერე-
ბელია, მე დებუტატ დავიბარე ლე-
ჩანდო და ყველაფერს პირად გამოე-
კითხაო. არა მჯერა ეგ ამბავი და, თუ
მართალია, მთავრობა თავის მოვალეო-
ბას შეასრულებსო. იმბრიანი კმაყო-
ფილა დარჩა, და პალატამაც მოიწონა
ასეთი განმარტება საქმისა კრისპის
მიერ.

მილიონები

წერალები დავარსიანს

V*)

მეორე რა აზრისაა ამის შესახებ გა-
სეთი „Times“-ი? აი ეს სიტყვა მოა-
დგება სოფელ კნაშედ ყველა ინგლისელს,
როცა პოლიტიკაში რაიმე იშვიათი ამ-
ბავი მოხდება, და ადვილად განსამარტე-
ბელიც არის ეს გარემოება, რადგან ამ
გაზეთის ინგლისის ცნობებში მეტად
დიდი ადგილი უჭირავს, იგია მეთაური
საზოგადოებრივის აზრისა და მთავრო-
ბაზე-კი თითქმის იმას ემორჩილება. რო-
ცა „New-York Herald“-ის რედაქ-
ტორად იქნა, ადვინიშეთ აგრეთვე ისიც,
თუ როგორ სწრაფად ადგა ფე-
სი ურსალ - გაზეთობამ შეერთებულს
შტატებში და ერთის წლის განმავლო-
ბაში როგორ იმატა ისე, რომ შეერთე-
ბულ შტატების გაზეთების რიცხვი მოე-

*) იხ. „ივერა“ № 97, 98, 101, 102
და 103.

დის ქვეყნის გაზეთების რაოდენობას
დამატებდა. ურსალს უკლებლად
უყვანს ამერიკის ურსალსა და ივე-
რაშია, თითქმის პარამიტატიკა ბევრს
აქვს გამოწერილი აქაური ყოველ-დღე-
ური და ყოველ-კვირეული გაზეთები;
ესევე, რომ ღონდონის საუბრეთსა
და თვალსაჩინო ქუჩებზედ შეერთებულ
შტატის გაზეთების სააკონტოებია, და
ჩვენს ხალხის გვემტება, ვხამეთ, იმა-
თებურს კალონად გქრთ და ვებედავთ
განცხადებებს. ჩვენს ხალხს და სურვი-
ლის წინააღმდეგ, იგია-ამერიკელებს იმ
კვრამსაზე-კი, რომლის შეიღისაც თი-
თან შეადგენს, ასევე უყვანს ჩვენს ხალ-
ხს და ჩვეულებას და მდიდრად და მო-
წყობილად ცნობების კშხს კვადავს.
მოხუცი ინგლისი-კი, ის ინგლისი,
რომელიც ოდესღაც წინადათ შექმურე-
და თავისს თავ-შეებულს კოლონიებს
და უკადრისად ეპურებოდა, საზოგადო
ფების ხმას მისდევს და ამერიკის თავისს
მეტრად ჰყავს მინიშეული. უკვე დიდი
ხანა ინგლისი მრეწველობის საბრძოლ-
ველ უნარს ამერიკელებისაგან ითვისებს
და ურსალ-გაზეთობის საქმეშიც, სა-
დაც თავისი თავი დამოუკიდებელ ბა-
ტონად მიანდა, რაც ძალი და დონე
აქვს იტამება და თითის წერებზედა
სდგება, რომ მისად მისად მიტყუეს და
უკან არ ჩამორჩეს თავისს ზღვით გა-
შორებულს მეტრებს.

რომ უფრო ხალხად გვეჩვენების
ურსალ-გაზეთობის პრეზესი შეერთე-
ბულს შტატებში, ჩვენ დიდხანს ვიბა-
სეთ „New-York Herald“-ის ისტო-
რიაზე, რომელიც შეიღება ამერიკის
გაზეთობის ტიპად ჩათვალოს. ინ-
გლისში იმ გვერდებ ტიპი, იმ გვერდებ
სურათი, გამომეტყველი მთელის ქვეყნის
ურსალ-გაზეთობისა, „Times“-ის. ამ
გაზეთის ისტორია წემოდ მოთხრო-
ბიას აჩვენებთ ჩამორჩება, მით უმე-
ტესს, რომ ამ საქმეშიც დიდ-ძალი ფუ-
ლი ტრანალებს და ამ დიდ-ძალს ფულს

გინებას, რომელსაც ქართლში და ან
იმერეთში გაიგონებს კაცი, სენი კი-
დევ რომ უნდოდეს, ვერ მოახერ-
ხებს. თ. ჯ.—ძე-კი მაგ გვარებში და-
ხელოვნებული იყო და ხშირად უძა-
ხოდა სენებს დ... შეიღებს, რაიცა
სენებს მეტად სწყინდათ და დიდად
ეთაკილებოდათ.

გრავ ლევაშოვი მოვიდა სენათ-
ში. თავისუფალი სენათი თავმოყ-
რილი დაუნდა ივარის საზოგადოე-
ბაში, ესრეთ წოდებულს „სენიონ“-ში
(მინდორია). გრავმა სხვათა შორის
ჰკითხა თურმე ხალხს, ხომ არაფერს
ემდურით თქვენს ბოქალსაო? ხალ-
ხიდან გამოვიდა ერთი კაცი და
მოასენა გრავს, რომ გვავინებსო,
დ... შეიღებს გვეძინებს და გთხოვთ
მოაშლენითოთო. გრავს თურმე გავ-
ცინა და უთხრა პასუხად: თ. ჯ. იმ
ქვეყნიდგან არის, სადაც გინება ხუმ-
რობად მიღებულია. ნუ მიიღებთ
საწყენად მაგის გინებასაო. თუ ასე-
აო, მიუფო სენაში, მაშ როდესაც
იგი დ... შეიღებს დაგვიანებს, ჩვენ
დ... ბოქალს ვეტყვით და ნურც მა-
გას ეწყინებო. ამითი გვუთავებთ
თ. ჯ.—ზე სიტყვას. კომისიის სხვა
წევრების გაცნობაც ეგებ საჭირო იყო,
მაგრამ მაგასაც თავს ვანებებ, რად-
განაც ჩვენი წერილი უიმისოთაც ერ-
თობ გრძელდება. მაშ დავიწყით
ისევ მოგზაურობა.

თავ. სენაი

(შემდეგი იქნება)

უშუალოდ მოგვინახავს კერძო კომისიის წევრები...

პარლამ. დღეს შაბათი ნახა ახალ-გორის ციხე...

20 მაისი კაპიტანობა. „Новое Время“ იუწყება...

კაპიტანობა. „Новое Время“ იუწყება, რომ სათემო...

30 მაისი ჰეტეროტოპის ბირთვი, 19 მაისი

ჰეტეროტოპის ბირთვი, 19 მაისი

Table with 4 columns: Name, Amount, Unit, etc. Includes items like 'ხუთ-მანათიანი ოქრო'.

საბაღალეო ცნობები ქრისტეს აქედ ჩემო (1889) წელიწადი...

21 დღე გვირგვინი. წმიდა და დიდო მუხუთა...

22 დღე ორმბათი. წმიდა მონა-მისა ვასილისკოსი...

დებეშა 20 მაისი (საკუთარის გარეკისონდენტისაგან) მუთანი...

ვასილივის ბაღში, ორმბათს, 22 მაისი ქართლის სცენის მოყვარულთაგან წარ-მოადგენილი იქნება...

სიძე და სიძეარი ვლ. I მოქ., ნათარ. კ. ნახიძისა II პრივატისიკი შვაფში ვლ. I მოქ., ნათარ. ცაგარლისა III დიპარტისმენტში. წარმოდგენის შემდეგ იქნება ტანცი. დასაწყისი 8 1/2, საათზე.

სიძე და სიძეარი ვლ. I მოქ., ნათარ. კ. ნახიძისა II პრივატისიკი შვაფში ვლ. I მოქ., ნათარ. ცაგარლისა III დიპარტისმენტში. წარმოდგენის შემდეგ იქნება ტანცი. დასაწყისი 8 1/2, საათზე.

ბანსხალუბანი ალბერტის მალახაში სობრანის გვერდით მიღებულია დიდ-ძალი საამარველი მონაწილისათვის. ეს საბერელები სულ ახალ სისტემაზე მოწყობილი და ისყიდება პულ-ვერიზატორით და ან უიმისოდ. ფასი ძალიან მცირეა, ყველასათვის ხელ-მისაწვდენელი. (8-3)

ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ ТУТАЕВА. Принимаются постройки, ремонты и окраски домов, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя ма-сляныя и сухія краски, кисти масла и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и добро-качественность матеріаловъ. Полнѣйшая гарантія. Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара. (48-9)

ახალი ლამბარი „მონოპოლი“. მიუქცევო მეთოდით ყურადღებას ამ საუკეთესო ლამბარს, რომლით გაჭრობა მთელის რუსეთისათვის ჩვენა გვაქვს მონდობილი, და ამასთანავე დავეხმობ ჩვენთა მ-ბ მიღველ-მუშართა საუწყებლად, რომ წარუშლს ჩვენი საიარამუო, საწ-მობი ნიშნი-ნიშნობისათვის ძალიან გადამდებული და გაფართოებული იქნება. ნარდალ საამარო საწმობი ფაბრიკისა და დამპრის სხვა-და-სხვა მოწყობილობის, ბოვემიო-სა და ინგლისის ბროლის მინანქრისა ტურჭელი და სხ. სავაჭრო სასლისს დ. ფრიდბერგისა და ა. მ. მისკოვო: ლუბანკას, ვარსნოვიცის შესანვევში, მალევეცის აშ. სასლში. ნიუბერგისა და ა. მ. მისკოვო: „ცარსკა“ ქუჩაზე, საუთარს სასლში, ნუშოვის სასტუმროს პირდაპირ. (3-3)

არყის ხის პალახში დ-რის ლინგელიასი, საბაღალეო სხეპარამელი ძალთათვის. ჰემარბენ ხანისა და ხელის განის სითეროსათვის. რადგანცვალობად ამ გვარის ბალახის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიუქცევო პაქე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას. მომსადების წესი და რიგი: ამ ბალახის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზე მიუქცევო, რომ შიგ არ გაურონ კანზე ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისე-ოთხი იმპარონ, რომელიც ხანისა და ხელის განის კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია. ფასი: შუა ჰლირს 1 მან. 65 კაპ.; ბესზახს ხანისა ჰლირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ობო-ობო-ობო (კოლ-კრეშუდ უეუთისა) 1 მან. გაგზავნა და შეგვევა ვერპის რუსეთში ჰლირს 70 კაპ., აზიის რუსეთს- 1 მან. უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. ბურჩინთან ს. პე-ტერბურგს, კოლოკოლის ქუჩაზე, 18-19. ისყიდება რუსეთის ყველა ავთიკებსა და საფოთიაქო და საპარფუმერო მა-ლაზიებში. ტფილისს: საფოთიაქო საქონლით მოვაჭრე გავასიის ახანაგობაში, ვ. გრიგინთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტორუზოვთან და ა. პოპოვთან. (31-20)

სასტუმრო კურ-ლვინო-ში სსაფსულად შეკეთებული გეჭის ტერასისა, რომელიც ეზოებითურთ მო-რთულია ყუბილებითა და მჭვანეთა. სიგრილისათვის აშუბულია ოარი შადრევანი. ფასები აღნიშნულზე ყველაფრისა დაკლებულია. სასმელები ცივი გვეჭება და ღვინო ბოთლი 40 კაპიკიდგან. უოჯლ ღვგ გვეჭება „მაროტინი“ და „აკროსკა“. სასტუმროს პატრონები: მ. მანანაძე და ა. თამაძე (3-2)

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აცხადებს ჩაქრეტორი... 27 მაისს, 12 საათზე, ექსპოზის საი-გომში დაწინაურებულია და აჯო-რით იქმნება გაცემული: 1) გადაკე-თება სახურავისა და გაცემება კარ-ფანჯარისა ქალაქის დედათა საავლ-მყოფოსათვის ავლობარში და 2) გა-კეთება სახურავისა ქალაქის სახლი-სათვის ახანოებს ახლო. ვისაც სურს ეპრობაში შემოვიდეს, შეუძლიან ჰხანოს პირობა და ამ საგნისათვის დანიშნულის ხარჯის რაოდენობა გამ-გეობაში ყოველ ღვე დღის 10 საათიდან 2 საათამდე. (3-2)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერ-კითხვის სასოგადოების“ სამარ-თველოში და წარკვანის მადახაში დარჯინის თეორია და ენათმეცნიერება, გერმანულიდან სათარგმნი მ. ჯარასის მიერ. ფასი 20 კაპ. (3-1)

წერ-კითხვის სასოგადოების საზოგადოების წიგნთ-საწყოში (Дворцовая ул., Караванъ Са-рай Земельн. Банка, № 109, 110) ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილია ქართლის ენაზე და განსაკუთრებულ ყიდვე მოპოო-ვება, და გარდა ამისა ახლად შექმნი-ლი წიგნები: თამარისი, რაფიელ ერისთა- მან კაპ. 60 ვისა 60 თარნიკე ერისთავი 1 საუმაწვილო ამბები 40 ნინო ორბელიანის ლექსები 40 ხრობა ან. ფურცელაძისა 25 ართიშეთვა, მ. ყიფიანისა 80 სურამის ციხე 20 გულიერის მოგზაურობა 50 სამ გვარი სიუჟეტული, აკაკისა 30 საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ემისკოპოვის გამგე. 3 კრებული ართიშეთვულ ამო-ცანებისა, რ. ჯაფარიშვილისა 40 ანბანი კანაზედ საკერი, გ. ტა-ტიშვილისა 20 დავით ასლანიშვილი-ჯანდიე-რი, ა. ფურცელაძისა 10 საქართველოს კალენდარი, გუ-ნისაი 45 სამართლის წიგნი ვასტანგ რჯულ-მდებლისა (რუ-სულს ენაზე) 3 50 ქალაგებანი და მოძღვრებანი ახანოსი ნიუბერგისისა, ალექსანდრე ემისკოპოვის გამგეობა 50 მარინე, ისტორიული მოთხ-რობა გუნიასისა 30 ვაზის ობი 10 დოკვანი, დამაშობისა 30 ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა 1 სახანაღწელო, ნ. ნიკოლაძისა 40 ქალაგებანი გაბრიელ ემისკოპო-ვისა I ნაწ. 1 50 საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამო-ცემა ნ. ჯაფარიშვილისა 20 გულიერის მოგზაურობა 50 საქართველოს მეფეებზე, გუ-დაისაშვილისა 1 სურთი ამბავი, საუმაწვილო ამბები, ფანჯარულიდან გად-მოღებული ან. თუმანი-შვილის მიერ. 1 II ნაწ. 1 ბუნების მოკლენანი, ს. მესტი-აშვილისა 1